

## მეფე ერეკლე II და მისი გულითადი თანამებრძოლი

სათათბირო ოთახის კედლები სავსეა რუკებითა და საბრძოლო იარაღებით. მარჯვენა კედელზე მინაქრის ჯავარდენი ხმალი თავისი ყაწიმით, აღწერს საუკეთესო მებრძოლის, მეფე ერეკლეს მიერ ალა-მაჰმად-ხანის დამარცხებას. მის გვერდით კი ირანის რუკაა. რუკიდან მარცხნივ, სადა ოქროთი გაწყობილი ხევისურული ხმალი კიდია, ეს ის ხმალია, რომლითაც მეფე ერეკემ აზატ-ხანის 18000-იანი არმია დაამარცხა. მარცხენა კედელზე ქართლ-კახეთის გაერთიანებული რუკა და მეფის საყვარელი დამბაჩები კიდია. ოთახის თავში კი ბზინვარე ოქროს ტახტია, რომელზეც ტანად პატარა, მეფურ სამოსში გამოწყობილი კაცი ზის, რომელსაც მუდამ ოქროს ყადიმი ჰკიდია. მეფის ირგვლივ თავისი სარდლები სხედან.

უცვრად, იღება ოთახის კარები, შემოდის კარის მსახური, მოწიწებით უახლოვდება მეფეს და ამცნობს „კუზა ზაალის“ მობრძანებას.

ოთახში შემოდის და მუხლს იდრეკს მრავალ გზის მეომერი, ზურგში მოხრილი ზაალ ანდრონიკაშვილი. მეფე ზაალს დიდი პატივისცემით და გულითადად იღებს, როგორც მრავალ გზის თანამებრძოლს. მეფე მას უბრუნებს მოურაობას:

- წყალობითა ღვთისა ჩვენ იესიან დავიტიან სომონიან ბაგრატოვანმა ცხებულის მეფის თეიმურაზის ძემან ირაკლი მეორემან, ეს წყალობის სიგელი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და თავდადებით ნამსახურს ენდრონიკაშვილს ზაალს, შენს შვილებს და შენი ოჯახის შთამომავლებს: ძველთანვე მარტყოფის მოურაობა შენს ოჯახს ჰქონდა, ამის დასტურად წყალობის სიგელებიც გქონდა მეფის იმამყულიხანმა. ძვე საბუტებში ამოვიკითხეთ, რომ შენ დაობლდი. მეფის მარტყოფის მოურაობა ჩერქეზის შვილისათვის ებოძებინა იმ მიზეზით, რომ იმ დროს შენ მოვლა არ შეგეძლებოდა.

მეფემ წყალობის სიგელი უბოძა და უთხრა :

- მარტყოფის მოურავობა შენვე გიბოძეთ, ამის საბუტებიც გქონდა და თვით შენც მრავალ დიდ ომებში სახელოვნად იბრძოდი: აბდულაბეგ რომ შემოგვესია, მაშინ მტრის რაზმებში ვაჟკაცურად შეხვედი, კაცი მოჰკალი, შემოგეხვივნენ და სასიკვდილოდ დაგჭრეს. ღვთის წყალობით მორჩი და მას აკეთ უკეთესი ვაჟკაცობები იმოქმედე. ასპინძის ომში ლეკის ჯარს შვიდს ხევისურთან ერთად წინ მიეგებე, სახელოვნად შეეგი, კაცნიც დაჰხოცე. თითოეულად შენგან ქმნილი ვაჟკაცობები რომ დაგვეწერა, ძალიან გაგრძელდებოდა და ბევრისგან მხოლოდ ცოტა ჩამოვთვალე. ამ სამსახურისათვის გიბოძეთ ძველთაგანვე შენი ოჯახის კუთვნილი მარტყოფის მოურაობა. გქონდეთ და გიბედნიეროს ღმერთმან.

„კუზა ზაალმა“ დიდი პატივით აიღო თავისი ჯილდო და მეფეს მუხლ-მოდრეკით უთხრა:

- ჩემთვის დიდი პატივია მეფეო, თქვენგან ამ წოდების ბოძება. ამ სიტყვების მოსმენა თქვენისთანა დიდებული სულისმქონე და მებრძოლი მეფისაგან, უაღრესად დიდ შემართებას მაძლევს, იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულო ჩემი წოდება. ამისათვის კი ვფიცავ, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

ეს ერეკლე მეფეა, თავად ვაჟკაცი და გმირი. უამრავი ბრძოლის გადამტანი რაინდობისა და სამშობლოს სიყვარულის დამფასებელი, სხვაშიც ამასვე აფასებდა და აღიარებდა. დრომ აჩრდილებად აქცია ისინი,თუმცა ეს ჩრდილნი დღესაც სიამაყით ავსებს ქართველთა გულს.

სახელი და გვარი: თეკლა ჯაბუა, ასაკი:14; ქალაქი :ქუთაისი. სკოლა: სსიპ.#30 საჯარო

კლასი: მე-9<sup>3</sup>